

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-დეკემბრის შემოსავლებისა და ხარჯების შესრულების შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და გრანტების 2004 წლის 12 თვის საპროგნოზო მოცულობა (ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების სოციალური გადასახადების გარეშე) განისაზღვრა 1 742 289.00 ათასი ლარით. ფაქტიურად მიღებულ იქნა 1 772 967.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის 102% შეადგენს. მათ შორის, ცენტრალური ბიუჯეტის ნაწილში საბიუჯეტო შემოსავლებისა და გრანტების საპროგნოზო პარამეტრი განისაზღვრა 1 328 989.0 ათასი ლარით; ფაქტიურად მიღებული იქნა 1 335 934.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101%.

ბიუჯეტის შემოსულობებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად, სახელმწიფო ფინანსების მართვის გაუმჯობესების, ბიუჯეტში შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორებათა მოწესრიგების და საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით 2004 წლის 13 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება №3 „სახელმწიფო ხაზინის მიერ სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორებათა განხორციელებისა და ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ” და დაამტკიცა შესაბამისი პროცედურების განხორციელების სპეციალური ინსტრუქცია. 3

დადგენილების თანახმად, სახაზინო სამსახური 2004 წლის 5 აპრილიდან ახორციელებს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებას და ანგარიშსწორებას, რამაც ხელი შეუწყო ბიუჯეტის შემოსულობების სრულყოფილად აღრიცხვას შესაბამის ბიუჯეტებში და მობილიზებულ შემოსავლებზე ახალი კლასიფიკაციის მიხედვით უფრო დეტალური ინფორმაციის მიღებას.

2004 წლის 12 თვეში ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრებიდან საგადასახადო შემოსავლების მოცულობა განისაზღვრა 890 780.0 ათასი ლარით. აქედან, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 901 483.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 101%. მათ შორის:

საშემოსავლო გადასახადიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 16 380.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 16 387.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100%;

მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 11 310.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 11 311.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100%;

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 589 600.0 ათასი ლარი, ხოლო მიღებული იქნა 598 677.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102%. მათ შორის:

– საგადასახადო დეპარტამენტიდან დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 257 100.0 ათასი ლარით, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 258 989.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101%;

– საბაჟო დეპარტამენტიდან დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 332 500.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 339 689.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 102%.

აქციზის სახით 12 თვის საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრული იქნა 164 530.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 161 914.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 98%. მათ შორის:

– საგადასახადო დეპარტამენტის სახით აქციზის სახით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 62 800.0 ათასი ლარი, მიღებული იქნა 62 001.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 99%;

– საბაჟო დეპარტამენტის სახით აქციზიდან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 101 730.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 99 913.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 98%. აქედან: საავტომობილო ბენზინის აქციზიდან ცენტრალურ ბუჯეტში მიღებული იქნა 40 995.0 ათასი ლარი (გეგმა – 40 830.0 ათასი ლარი), სხვა ნავთობპროდუქტებიდან – 14 218.0 ათასი ლარი (გეგმა – 13 800.0 ათასი ლარი), თამბაქოს ნაწარმიდან – 38 542.0 ათასი ლარი (გეგმა – 40 300.0 ათასი ლარი), სხვა აქციზური პროდუქტიიდან – 6 158.0 ათასი ლარი (გეგმა – 6 800.0 ათასი ლარი).

საბაჟო გადასახადიდან ცენტრალურ ბიუჯეტში მისაღები შემოსავლების 12 თვის საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 107 920.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 111 345.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103%; ფიქსირებული გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 472.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (390.0 ათასი ლარი) 121%-ია; მცირე ბიზნესის გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 709.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის (650.0 ათასი ლარი) 109%; სხვა გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 669.0 ათასი ლარი.

მთლიანობაში, 2004 წლის იანვარ-დეკემბერში ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების კუთხით საბაჟო დეპარტამენტის 12 თვის საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული იქნა 542 150.0 ათასი ლარის მიღება, საიდანაც მობილიზებული იქნა 550 947.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102%, ხოლო საგადასახადო დეპარტამენტის მიერ 12 თვის საპროგნოზო მაჩვენებლით განსაზღვრული 348 630.0 ათასი ლარიდან, ფაქტობრივად მობილიზებული იქნა 350 537.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101%.

რაც შეეხება საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში მიღებულ არასაგადასახადო შემოსავლებს, საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 235

540.0 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებულია 243 503.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 103%. მათ შორის:

– მოსაკრებლებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრული იყო 44 000.0 ათასი ლარით, ხოლო მობილიზებულია 45 421.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 103%-ია;

– სახელმწიფო ქონების იჯარიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 1 394.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (1 330.0 ათასი ლარი) 105%;

– მომსახურების გაწვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 5 709.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 200.0 ათასი ლარი) 110%-ია;

– არაძირითადი (თანამდევნი) გაყიდვიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 12 680.0 ათასი ლარით, ხოლო მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 15.0 ათასი ლარი;

– სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების დივიდენდებიდან მიღებული იქნა 14 608.0 ათასი ლარი, რაც 12 თვის საპროგნოზო პარამეტრის (14 470.0 ათასი ლარი) 101%-ია;

– ეროვნული ბანკის მოგებიდან მიღებული იქნა 12 000.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (12 000.0 ათასი ლარი) 100%;

– სახელმწიფო სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებლიდან და გაცემული სესხის დაფარვის ვადების დარღვევისათვის გადახდილი საურავებიდან ნაცვლად 12 თვის გეგმით განსაზღვრული 5 768.0 ათასი ლარისა, მიღებულია 2 503.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 43%;

– ჯარიმებითა და სანქციებით მიღებული იქნა 8 092.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8 300.0 ათასი ლარი) 97%-ია;

– გაცემული კრედიტების დაბრუნებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 29 200.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (21 080.0 ათასი ლარი) 139%;

– სხვა არასაგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 124 562.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის (110 712.0 ათასი ლარი) 113%.

კაპიტალური შემოსავლების 12 თვის საპროგნოზო პარამეტრმა შეადგინა 81 400.0 ათასი ლარი, საიდანაც ფაქტიურად მიღებულ იქნა 67 008.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 82%.

ბიუჯეტში გრანტების სახით 2004 წლის იანვარ-დეკემბერში ფაქტობრივად მიღებულ იქნა 123 940.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (121 269.0 ათასი ლარი) 102%-ია; მათ შორის 6525.7 ათასი ლარი, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი გრანტის სახით ხაზინის სპეციალურ ანგარიშზე ჩარიცხული და ამავე ანგარიშიდან დამკვიცებული ხარჯთაღრიცხვის შეაბამისად გახარჯული თანხები, “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2004 წლის 30 აგვისტოს №570 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელებში ასახვის მიზნით, სახაზინო სამსახურის მიერ 2004 წლის 31 დეკემბრის №18-02-08/1556/5408 წერილით, გატარდა საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ ხაზინის შესაბამის ანგარიშებზე, ხოლო 74.1 ათასი ლარი, როგორც გრანტის მიმღები საბიუჯეტო ორგანიზაციების თავისუფალი ფულადი სახსრები, ირიცხება ნაშთად ხაზინის სპეციალურ ანგარიშზე.

რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლებს, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლებმა (ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების სოციალური გადასახადების გარეშე), შეადგინა 362 158.0 ათასი ლარი (აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1 იანვრიდან – 5 აპრილამდე მობილიზებული შემოსავლების გარეშე), ანუ 12 თვის გეგმიური მაჩვენებლის (348 150.0 ათასი ლარი) 104%. სახელმწიფო საგზაო ფონდში მობილიზებულმა სახსრებმა (აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1 იანვრიდან – 5 აპრილამდე მობილიზებული შემოსავლების გარეშე – 1 563.0 ათასი ლარი) შეადგინა 74 875.0 ათასი ლარი, ანუ 12 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (65 150.0 ათასი ლარი) 115%.

ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები

„საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 2004 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 271 144.0 ათასი ლარით. მათ შორის:

1. საშინაო წყაროებიდან – 50 566.0 ათასი ლარი. აქედან:
 - 24 951.0 ათასი ლარი საქართველოს ეროვნული ბანკისადმი საქართველოს მთავრობის წმინდა დავალიანების ზრდა;
 - 12 415.0 ათასი ლარი საქართველოს სახელმწიფოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ სახაზინო ვალდებულებებზე დავალიანების შემცირება;
 - 13 200.0 ათასი ლარი 2004 წლის 1 იანვრისათვის არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების ნაშთის გამოყენება.

2. საგარეო წყაროებიდან – 158 330.5 ათასი ლარი. მათ შორის: – 44 493.5 ათასი ლარი მსოფლიო ბანკის მიერ გამოსაყოფი გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტი;

- 113 837.0 ათასი ლარი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხო სახელმწიფოთა მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოსაყოფი, ინვესტიციური ხასიათის, გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად 2004 წლის იანვარ-დეკემბერში გამოყენებული რესურსების ოდენობამ შეადგინა სულ 195 938.2 ათასი ლარი. აქედან:

1. ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის საშინაო წყაროებიდან ფაქტიურად მიიმართა 17 504.5 ათასი ლარი. მათ შორის:

- ეროვნული ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი – 21 500.0 ათასი ლარი;

- სახაზინო ვალდებულებებზე დავალიანება შემცირდა – 8 963.9 ათასი ლარით;

- წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება – 4 968.4 ათასი ლარი. მათ შორის 4 000.0 ათასი ლარი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 24 ივნისის №ბს-466-573-კ-03 განჩინებით ს.ს. “თელასზე” ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული 5671555 ლარიდან,

შეთანხმებული გრაფიკის თანახმად დაბრუნებული ნაწილი, რომელიც დაუბრუნდა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, როგორც 2003 წელს გადარიცხული სახსრები.

2. ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის საგარეო წყაროებიდან ფაქტიურად მიიმართა 178 433.7 ათასი ლარი. მათ შორის:

– რეფორმების მხარდაჭერის მიზნით გამოყოფილი მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტი – 44 370.0 ათასი ლარი;

– საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და უცხო სახელმწიფოთა მთავრობების მიერ ინვესტიციური ხასიათის, გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები – 134 063.7 ათასი ლარი.

უნიდა აღინიშნოს, რომ “საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონით უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების ხარჯები გათვალისწინებულია სამინისტროებისა და უწყებების ასიგნებებში, შესაბამისად პროექტების განხორციელებასა და ათვისებული თანხების შესახებ ინფორმაციის ფინანსთა სამინისტროში წარდგენაზე პასუხისმგებელი დარგობრივი სამინისტროები და უწყებები. ამ ანგარიშის შედგენისას კი, ანგარიშგებაში ასახულია ინვესტიციური პროექტების შესრულების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რადგან სამინისტროებისა და უწყებების მიერ ვერ იქნა უზრუნველყოფილი სრულყოფილი ინფორმაციების დროულად წარმოდგენა ხაზინაში.

2004 წლის პირველი იანვრისთვის გარდამავალი საბრუნავი სახსრების ფაქტობრივად არსებული ოდენობა შეადგენს 15 258.2 ათას ლარს. ააქედან, სახელმწიფო საგზაო ფონდის – 1 695.8 ათასი ლარი; სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის – 5 396.9 ათასი ლარი; ცენტრალური ბიუჯეტის – 8 165.5 ათასი ლარი; მათ შორის: სახაზინო სამსახურის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების ძირითად ანგარიშზე რიცხული ნაშთი 7 975.7 ათასი ლარი, საოპერაციო დეპარტამენტის, ქ. ფოთის და რეგიონალური ხაზინების ანგარიშებზე რიცხული ნაშთი 84.9 ათასი ლარი, სახაზინო სამსახურის სავალუტო ანგარიშზე რიცხული 104.9 ათასი ლარის ექვივალენტი უცხოურ ვალუტაში.

ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯები

2003 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 1 სექტემბრამდე სახაზინო სამსახური მოქმედებდა საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 ოქტომბრის №1307 განკარგულებით მიღებული „ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით“ ინსტრუქციით. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად, 2004 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №571 „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწვევის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. ინსტრუქციაში განხორციელებულმა ცვლილებებმა უფრო ეფექტური და მოქნილი

გახადა აღნიშნული მექანიზმის მოქმედება და ხელი შეუწყო საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

„საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით დამტკიცებული ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების კვარტალური განწერის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 20 აგვისტოს №548 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2004 წლის ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 1 511 555.6 ათასი ლარით. აქედან, ზემოაღნიშნული ინსტრუქციების მიხედვით მიმდინარე წლის იანვარ-დეკემბერში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 518 162.4 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 1 515 878.3 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1 513 216.5 ათასი ლარი (გაწეულ ხარჯებში ჩართულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ინვესტიციური პროექტების დაფინანსების თანხა 157 100.9 ათასი ლარი), რაც დაგეგმილ ოდენობასთან მიმართებაში 1 660.9 ათასი ლარით მეტია და მის 100%-ს შეადგენს.

გაწეულ ხარჯებში ჩართულია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივად გამოყოფილი ფულადი გრანტების სახით ხაზინის სპეციალური ანგარიშებიდან ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე გახარჯული 6 525.7 ათასი ლარი, რომელიც აისახა წლიურ ანგარიშგებაში ფინანსთა მინისტრის №570 30.08.04წ ბრძანების შესაბამისად.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ბიუჯეტის 2004 წლის იანვარ-დეკემბრის ხარჯებში ასახული არ არის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განლაგებული ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების დასაფინანსებლად თებერვალში გადარიცხული 729.0 ათასი ლარი, ვინაიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ არ წარმოადგინა შესაბამისი თანხის განაწილება ადმინისტრაციული და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში რეგიონალური ხაზინის გახსნამდე, 2004 წლის 1 იანვრიდან 6 აპრილამდე ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ხარჯების დაფინანსება, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ ხორციელდებოდა ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი და ადგილზე დატოვებული საბიუჯეტო სახსრებიდან. ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებზე გაწეულმა ხარჯებმა (ცენტრალური ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხის ჩათვლით) შეადგინა 2 088.9 ათასი ლარი (წერილი №05-1/16, 7.04.04წ. ორგანიზაციების ჩამონათვალი თან ერთვის დანართის სახით). აღნიშნული მონაცემები დასტურდება ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკში, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის გახსნილი ანგარიში, ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგიონალური ხაზინის გახსნასთან დაკავშირებით, სახაზინო სამსახურის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ეროვნული ბანკის მიერ დახურული იქნა და ანგარიშზე რიცხული ნაშთი 90.3 ათასი ლარი გადმოირიცხა სახაზინო სამსახურის ხარჯების ანგარიშზე. ნაშთის თანხის ოდენობა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი წერილის საფუძველზე, ანგარიშგებისას შემცირებულია 3.3 ათასი ლარით, რადგან აღნიშნული წერილის

თანახმად, შესაბამისი მოცულობის ხარჯები, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დაშვებული გეგმების ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ ვერ იქნა გაწეული და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შესაბამისი ცვლილებები შეტანილი იქნა გეგმიურ მაჩვენებლებში და იგი გათვალისწინებული იქნა სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის გეგმებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადმორიცხული თანხიდან ანგარიშგებაში თავისუფალი ნაშთის სახით ასახულია 87.0 ათასი ლარი. ა

2004 წლის იანვარ-დეკემბერში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულ “მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების” გასაცემად 2004 წელს განსაზღვრული იყო 202 879.7 ათასი ლარის გამოყოფა. ფაქტიურად ამ მიზნით რეგისტრირებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 201 376.4 ათასი ლარი, ვალდებულებები დამოწმებულ იქნა 200 662.3 ათას ლარზე, ხოლო ფაქტიურად გადახდილ იქნა 200 261.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის 99%-ს შეადგენს.

შრომის ანაზღაურებაზე ღარიცხული სოციალური ანარიცხების სახით წლის განმავლობაში გათვალისწინებული იყო 33 202.5 ათასი ლარის გამოყოფა. ცენტრალურ ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციების მიერ დამქირავებლიდან ანარიცხების სახით საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 32 812.6 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 32 500.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად გადახდილი იქნა 32 340.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო პარამეტრის 97%-ს შეადგენს.

მივლინებებისათვის 2004 წელს გათვალისწინებული იყო 10 186.2 ათასი ლარის გამოყოფა, საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 9 878.9 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ – 9 737.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მივლინებებზე გაცემულმა თანხამ შეადგინა 9 690.1 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 95%).

„სხვა საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან 2004 წელს დაგეგმილი იყო 264 276.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 262 480.5 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 261 768.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 260 823.0 ათასი ლარი, რაც საგეგმო პარამეტრის 99%-ია. ამ კატეგორიიდან ფინანსირდება საბიუჯეტო ორგანიზაციების კვების ხარჯები. 2004 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან კვების ხარჯების მუხლით განსაზღვრული ასივნებები შეადგენს 17 986.5 ათას ლარს. აღნიშნული ასივნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულების ოდენობამ შეადგინა 17 732.2 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 17 578.1 ათასი ლარი, ხოლო ამ მიზნით ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 17 522.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97%-ს შეადგენს.

სხვა საქონელი და მომსახურების კატეგორიიდან გაწეული დანარჩენი ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- ოფისის ხარჯები: ვალდებულება – 18 119.1 ათასი ლარი, დამოწმება – 17 933.4 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 17 908.9 ათასი ლარი (დავალიანება – 24.5 ათასი ლარი);
- კომუნალური ხარჯები: ვალდებულება – 39 296.0 ათასი ლარი, დამოწმება – 39 186.6 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 39 045.0 ათასი ლარი (დავალიანება – 141.6 ათასი ლარი);
- მედიკამენტების შეძენის ხარჯები: ვალდებულება – 537.2 ათასი ლარი, დამოწმება – 523.7 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 523.1 ათასი ლარი (დავალიანება – 0.6 ათასი ლარი);
- რბილი ინვენტარი და უნიფორმის ხარჯები: ვალდებულება – 8 843.4 ათასი ლარი, დამოწმება – 8 803.7 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 8 779.2 ათასი ლარი (დავალიანება – 24.5 ათასი ლარი);
- ტრანსპორტისა და ტექნიკის შენახვის ხარჯები: ვალდებულება – 29 179.0 ათასი ლარი, დამოწმება – 29 121.2 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 29 052.5 ათასი ლარი (დავალიანება – 68.7 ათასი ლარი);
- სპეციალური პროგრამების მომსახურების ხარჯები: ვალდებულება – 4 753.1 ათასი ლარი, დამოწმება – 4 745.8 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 4 745.8 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები: ვალდებულება – 144 020.5 ათასი ლარი, დამოწმება – 143 876.3 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 143 245.7 ათასი ლარი (დავალიანება – 630.6 ათასი ლარი).

ამასთან, მნიშვნელოვანია “სხვა საქონელი და მომსახურების” მუხლიდან გაწეული ხარჯების განხილვა თემატურად. კერძოდ, „სხვა საქონელი და მომსახურების” კატეგორიაში გათვალისწინებული ასიგნებებიდან ხორციელდება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დაფინანსებაც. შესაბამისად, 2004 წელს საელჩოების შენახვისათვის გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 27 037.8 ათასი ლარი, ვალდებულება-დამოწმებამ – 27 037.8 ათასი ლარი, ხოლო 12 თვეში განხორციელებულმა დაფინანსებამ შეადგინა 27 037.8 ათასი ლარი (მოიცავს დიპლომატიური კორპუსის სახელფასო და საცხოვრებელ ხარჯებს). ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილთა კომუნალური ხარჯების (მოხმარებული ელექტროენერგიისა და წყლის ღირებულების ანაზღაურება, ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე დასაქმებული პერსონალის ხელფასები) ასანაზღაურებლად გამოიყო 21 229.5 ათასი ლარი, სამინისტროს მიერ წარმოდგენილმა და რეგისტრირებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 20 988.7 ათასი ლარი, ხოლო დამოწმებამ – 20 986.4 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 20 549.5 ათასი ლარი, საიდანაც 13 244.9 ათასი ლარი მიიმართა ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში ლტოლვილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურებისათვის, ხოლო 1 394.7 ათასი ლარი მოხმარებული წყლის ღირებულების ანაზღაურებისთვის.

ამავე მუხლის ანგარიშში წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებებზე სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად დაკისრებული თანხების სახით, ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშებიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროს საინკასო დავალებით, იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 1 734.9 ათასი ლარი. დავალიანებათა ჩამოწერის შესახებ

წერილობით ეცნობათ შესაბამის სამინისტროებს, რომელთა დავალიანების დაფარვაც განხორციელდა.

სუბსიდიებისა და მიმდინარე ტრანსფერების კატეგორიიდან 2004 წელს დაგეგმილი იყო 540 268.4 ათასი ლარის გამოყოფა. საანგარიშო პერიოდში ამ მუხლიდან აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 538 933.8 ათასი ლარი, დამოწმების ოდენობამ შეადგინა 538 688.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 538 499.7 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი ოდენობის 100%-ს შეადგენს.

2004 წლის იანვარ-დეკემბერში ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერის სახით გადაერიცხათ 128 234.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (128 234.0 ათასი ლარი) 100%. მათ შორის, სოციალურ ტრანსფერზე მიიმართა 122 872.0 ათასი ლარი, ხოლო სპეციალურ ტრანსფერზე – 5 362.0 ათასი ლარი. ამავე მუხლიდან დევნილთა შემწეობების დაფარვაზე მიიმართა 43 880.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის (44 082.4 ათასი ლარი) 100%.

სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაცემული ტრანსფერების საერთო მოცულობამ შეადგინა 41 977.0 ათასი ლარი. მათ შორის:

- 31 977.0 ათასი ლარი – პენსიები;
- 10 000.0 ათასი ლარი – ტრანსფერი უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალური დახმარების პროგრამაზე.

ამასთან, სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გადარიცხულ ტრანსფერში ასახულია 16.0 მლნ ლარი, რომელიც „ზოგიერთი საბიუჯეტო ხარჯის დაფინანსების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის მიმდინარე წლის 26 აპრილის №348 განკარგულების შესაბამისად, გადარიცხა წინა პერიოდის საპენსიო დავალიანების დასაფარად.

სუბსიდიებისა და ტრანსფერების მუხლიდან საანგარიშო პერიოდში კულტურის დაწესებულებები დაფინანსდა 19 086.5 ათასი ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (19 192.8 ათასი ლარი) 99%-ია; საქართველოს ტელევიზიას და რადიომაუწყებლობას გამოეყო 16 495.3 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის (16 500.0 ათასი ლარი) 100%; ენერგოსისტემის სუბსიდირებისათვის გამოყოფილი იქნა 77 133.8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (77 485.2 ათასი ლარი) 100%-ია.

კაპიტალური ხარჯების მუხლით 2004 წლის იანვარ-დეკემბერში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 99 786.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (გეგმა – 101 532.1 ათასი ლარი, ვალდებულება – 100 865.1 ათასი ლარი, დამოწმება – 100 705.5 ათასი ლარი) 98%-ს შეადგენს.

რაც შეეხება სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას, საანგარიშო პერიოდში საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვისათვის მიიმართა 198 943.1 ათასი ლარი (გეგმა – 199 450.0 ათასი ლარი). აქედან, სესხის მომსახურების თანხამ შეადგინა 48 502.0 ათასი ლარი, ხოლო საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვამ შეადგინა 150 441.1 ათასი ლარი.

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის იანვარ-დეკემბერში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები შეადგენს 92 407.0 ათას

ლარს, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (92 450.0 ათასი ლარი) 100%-ია. (აღნიშნული ხარჯების ჩამოჭრა სახაზინო სამსახურის საბიუჯეტო ანგარიშიდან ეროვნული ბანკის მიერ ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში). მათ შორის:

– ეროვნული ბანკის სესხის მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშიდან ჩამოიწერა 71 548.2 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის (71 590.0 ათასი ლარი) 100%;

– სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯებმა შეადგინა 20 858.8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (20 860.0 ათასი ლარი) 100%-ია.

ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასივნებების ანგარიშში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ინვესტიციური პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი ინვესტიციური კრედიტებისა და მისი თანმხლები გრანტების საფუძველზე შესაბამისი კომერციული ბანკების ანგარიშებიდან 12 თვეში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 157 100.9 ათასი ლარი.

ქალსანიშნავია, რომ ორგანიზაციების მიერ ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშებზე მიღებული თანხების სრულად აუთვისებლობის გამო, 31 დეკემბრის მდგომარეობით სახაზინო სამსახურის ბიუჯეტის სალარე ანგარიშებზე არსებული გარდამავალი ნაშთი დაფიქსირდა 27 086.7 ათასი ლარის ოდენობით. ნაშთზე ინფორმაციაში ჩართულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განლაგებული ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების დასაფინანსებლად გადარიცხული 729.0 ათასი ლარი (რომელიც ხარჯებში არ არის ასახული ზემოთ აღნიშნული მიზეზით). ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით რეალურად 31 დეკემბრის მდგომარეობით სახაზინო სამსახურის სალარე ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთმა 26 357.7 ათასი ლარი შეადგინა.

ასევე, 31 დეკემბრის მდგომარეობით ცენტრალური ბიუჯეტის სავალუტო ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 148.7 ათასი ლარი.

სპეციალური სახსრების მაჩვენებლების შესახებ

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ვ) პუნქტის შესაბამისად, 2004 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო ორგანიზაციებს გაუუქმდათ სპეცსახსრები. კანონის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სახაზინო სამსახურის წერილობითი მიმართვის საფუძველზე შეაჩერა სპეციალური სახსრების სალარე და სავალუტო ანგარიშებზე თანხების განთავსება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიმდინარე წლის 23 იანვრის №29 ბრძანების შესაბამისად, მოხდა საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშებზე რიცხული ნაშთების დაზუსტება. საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთების სახაზინო სამსახურის მონაცემებთან შედარების შემდგომ, საბიუჯეტო ორგანიზაციების წერილობითი დასტურისა და საგადახდო დავალების საფუძველზე მოხდა საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშზე 2004 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთების სხვა არასაგადასახდლო შემოსავლების ანგარიშზე ჩარიცხვა, ხოლო 2004 წელს

სპეცსახსრების ანგარიშზე ჩარიცხული შემოსავლების კი, ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების შესაბამის ანგარიშებზე გადატანა.

ამასთან, გაიხსნა საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის სპეციალური ანგარიშები, რომლებზეც ხდება განთავსება პროკურატურის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, სპეციალური სახსრების ანგარიშზე რიცხული დეპოზიტური, სატენდერო მოსაკრებლების თანხების, საბიუჯეტო ორგანიზაციების გრანტის სახით გამოყოფილი სახსრების ანგარიშგება და ანგარიშსწორება.

ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს უფლება მიეცათ ანგარიშები გაეხსნათ კომერციულ ბანკებში და ამ ანგარიშებზე გადაეტანათ სპეცსახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 23 იანვრის №29 ბრძანების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სახაზინო სამსახურში წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ორგანიზაციების სპეცსახსრების ანგარიშებზე რიცხული ნაშთების დასაზუსტებლად. 2004 წელს დაზუსტების შემდგომ სპეცსახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთიდან ბიუჯეტის შემოსავლებში მიიმართა 6 974.2 ათასი ლარი, ხოლო ანგარიშზე ნაშთის სახით ირიცხება 231.2 ათასი ლარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაზუსტებული იქნა სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის სპეცსახსრების სავალუტო ანგარიშებზე 2005 წლის 1 იანვრისათვის რიცხული 18.7 ათასი ლარის ექვივალენტი ნაშთები უცხოურ ვალუტაში.

ამასთან, სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის სპეციალური სავალუტო და სალარე ანგარიშებზე რიცხული თანხებიდან საანგარიშო პერიოდში პროკურატურის წერილობითი მიმართვისა და საგადახდო დავალებების საფუძველზე, ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლებში პროკურატურის დეპოზიტებიდან მიიმართა 45079.1 ათასი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გაწეული ფასიანი მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებზე დარიცხული გადასახადების გადახდის საკითხის დარეგულირების მიზნით გამოიწა ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 14 მაისის №331 ბრძანება „ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გაწეული ფასიანი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების ბიუჯეტში ანგარიშსწორების წესის შესახებ“, რომლის თანახმად ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა, რომელთა მიერ გაწეული მომსახურება საგადასახადო კოდექსის მიხედვით იბეგრება გადასახადებით, მიღებული სახსრები გადასახადების დეკლარირებამდე, უნდა განათავსონ სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტისა და რეგიონალურ ხაზინებში გახსნილ სპეციალურ ანგარიშებზე, საიდანაც ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საგადახდო დავალების საფუძველზე მოხდება ბიუჯეტში კუთვნილი გადასახადების გადახდა, ხოლო გადასახადების გადახდის შემდგომ დარჩენილი თანხა მიიმართება ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტის სპეციალურ ანგარიშზე ქ, თბილისის მერიას მიერ 2004 წლის განმავლობაში

შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩაერიცხა 19 896.8 ათასი ლარი შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ხარჯების დასაფინანსებლად, რომელიც შსს მიერ წარმოდგენილი საგადახდო დავალებით მიმართული იქნა ცენტრალური ბიუჯეტის არასაგასახადო შემოსავლებში.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 10 000.0 ათასი ლარით. 2004 წლის იანვარ-დეკემბერში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ოდენობამ შეადგინა 9 970.3 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსებული იქნა 9 796.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95%. აქედან: 5 795.6 ათასი ლარი გადაირიცხა ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ტრანსფერის სახით; 506.0 ათასი ლარი საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატს აფხაზეთის ა/რ გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში; სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში (ქ. თბილისის მერიისათვის) – 6.4 ათასი ლარი; ანტიკორუფციულ ბიუროს – 101.2 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს – 248.7 ათასი ლარი; მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს კ. წერეთლის ოჯახის ფინანსური დახმარებისათვის – 5.0 ათასი ლარი; სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურს – 11.5 ათასი ლარი; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას რ. ლავგილავას ოჯახის ფინანსური დახმარებისათვის – 5.0 ათასი ლარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროებით საპრეზიდენტო საბჭოს – 47.6 ათასი ლარი; მთავრობის კანცელარიას (საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად) – 384.0 ათასი ლარი; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას – 342.0 ათასი ლარი; პრეზიდენტის ადმინისტრაციას ნ. ყანჩელის ოჯახის ფინანსური დახმარებისათვის – 1.0 ათასი ლარი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს – 1 111.9 ათასი ლარი; მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს ლ. ჭილაშვილის ოჯახის ფინანსური დახმარებისათვის – 5.0 ათასი ლარი; იუსტიციის სამინისტროს – 904.3 ათასი ლარი; საქართველოს პრეზიდენტის დროებით ადმინისტრაციას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 29.3 ათასი ლარი; მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტს ქ. იერუსალიმში ქართველ მეცნიერთა კომპლექსური ექსპედიციის დასაფინანსებლად – 5.8 ათასი ლარი; ნაკრები გუნდების მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისათვის მომზადებისა და თანამონაწილეობის მიზნობრივი პროგრამა – 125.0 ათასი ლარი; მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს – 55.9 ათასი ლარი; ზუგდიდის ობოლ და მშობელთა მზურნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს – 0.5 ათასი ლარი; საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატს მცხეთა-მთიანეთის მხარეში – 13.0 ათასი ლარი; საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატს რაჭა-ლეჩხუმის მხარეში – 13.5 ათასი ლარი; მთავრობის კანცელარიას – 72.7 ათასი ლარი; უმაღლეს სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამა – 5.5 ათასი ლარი; ქუთაისის მუსიკალური სკოლა-ინტერნატი – 0.1 ათასი ლარი.

წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვა

„საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა პერიოდის დავალიანების დაფარვის ფონდი განისაზღვრა 81278.7 ათასი ლარით. „საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ცალკეული ღონისძიებების დავალიანების დასაფარად განისაზღვრა ასიგნება სულ 11 318.0 ათასი ლარით; მათ შორის: საგარეო საქმეთა სამინისტროს – 3 668.0 ათასი ლარი (საელჩოების დავალიანების დასაფარავად – 2 312.0 ათასი ლარი, გაეროს მიმართ დავალიანების დასაფარად – 1 356.0 ათასი ლარი), განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (განათლების მუშაკთა წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად) – 3 300.0 ათასი ლარი; კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს – 1 120.0 ათასი ლარი; მეცნიერებათა აკადემიას – 1 600.0 ათასი ლარი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას – 200.0 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სულ – 1 400.0 ათასი ლარი (მათ შორის: ჯანმრთელობის ხელშეწყობის დაავადებათა პრევენციის და ეპიდკონტროლის სახელმწიფო პროგრამების დავალიანების დასაფარად – 200.0 ათასი ლარი, სოციალური სფეროს ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური რეფორმის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დავალიანების დასაფარად – 1 200.0 ათასი ლარი). სულ გასული წლების დავალიანებების დაფარვის გეგმა შეადგენს 92585.1 ათას ლარს. ფაქტიურად საანგარიშო პერიოდში დაფარულ დავალიანებათა მოცულობამ შეადგინა 81445.2 ათასი ლარი, მათ შორის:

– შრომის ანაზღაურების მუხლით გამოყოფილი იქნა 24 658.9 ათასი ლარი, ფაქტიურად დაფარული იქნა 22 845.6 ათასი ლარი;

– დამქირავებლიდან ანარიცხების მუხლით გამოიყო 5 306.5 ათასი ლარი, საიდანაც დაიფარა 4 125.2 ათასი ლარი;

– მივლინების მუხლით გამოყოფილ იქნა 57.5 ათასი ლარი, საიდანაც დაიფარა 52.7 ათასი ლარი;

– სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან გამოიყო 7885.0 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიფარა 8 865.0 ათასი ლარი;

– სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერების მუხლით გამოყოფილი იქნა 54577.2 ათასი ლარი, საიდანაც ფაქტიურად დაფინანსდა 45556.7 ათასი ლარი.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლები საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერისა და ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების დამქირავებლიდან ანარიცხების გათვალისწინებით 2004 წლის იანვარ-დეკემბერში განისაზღვრა 448 127.0 ათასი ლარით, საიდანაც ფაქტიურად მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 459 055.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო პარამეტრის 102% (ეს მონაცემები არ მოიცავს 1 იანვრიდან 5 აპრილამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებმაც წინასწარი ინფორმაციით შეადგინა 6 067.1 ათასი ლარი).

ცენტრალური ბიუჯეტიდან სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა ტრანსფერების სახით მიმდინარე წლის იანვარ-დეკემბერში მიიღო 41 977.0 ათასი ლარი. მათ შორის: ტრანსფერი უმწეოთა სოციალურ (ოჯახების) დახმარებაზე 10 000.0 ათასი ლარი.

იურიდიული პირების (დამქირავებლის) და მოქალაქეთა სოციალური გადასახადებიდან (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური ანარიცხების გარეშე), სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა მიიღო 396 107.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (388 000.0 ათასი ლარი) 102%-ს შეადგენს. ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან გადმოცემულმა თანხებმა შეადგინა 15 409.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის (10 150.0 ათასი ლარი) 152%; ხოლო გაურკვეველმა შემოსავლებმა – 22.6 ათასი ლარი.

2004 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ანგარიშზე არსებულმა გარდამავალმა ნაშთმა შეადგინა 5 396.9 ათასი ლარი.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ მიმდინარე წლის იანვარ-დეკემბერში გაწეულმა ხარჯმა (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მონაცემების გარეშე) შეადგინა 440 820.2 ათასი ლარი, ანუ წლიურ დაგეგმილ (448 127.0 ათასი ლარი) ოდენობაზე 7 306.8 ათასი ლარით ნაკლები (98%).

აქედან, 1. სოციალური დაცვის პროგრამების ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 330 553.9 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმით გათვალისწინებულ (333 270.9 ათასი ლარი) მაჩვენებელზე 2 717.0 ათასი ლარით ნაკლები (99%); მათ შორის:

ა) პენსიონერთა პენსიებმა შეადგინა 303 748.3 ათასი ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (306 055.5 ათასი ლარი) 99%;

ბ) დროებით შრომისუუნარობასთან დაკავშირებულ დახმარებებზე მიიმართა 3 326.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (3 345.0 ათასი ლარი) 99%-ია;

გ) უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა დახმარებებზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 17 990.8 ათასი ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (18 000.0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

დ) 9 აპრილს დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამაზე მიიმართა 22.2 ათასი ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო პარამეტრის (22.2 ათასი ლარი) 100%;

ე) პენსიებისა და დახმარებების გაცემის მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 5 465.8 ათასი ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო პარამეტრის (5 848.2 ათასი ლარი) 93%.

2. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 92 560.8 ათასი ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო პარამეტრის (96 569.0 ათასი ლარი) 96%. მათ შორის:

ა) მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამაზე გამოიყო 14 245.9 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური (14 653.0 ათასი ლარი) მაჩვენებლის 97%;

ბ) მოსახლეობის სტაციონალური დახმარების სახელმწიფო პროგრამაზე მიიმართა 54 393.9 ათასი ლარი, ანუ წლიური დაგეგმილი (56 989.3 ათასი ლარი) ოდენობის 95%;

გ) მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაზე მიიმართა 7 749.5 ათასი ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო პარამეტრის (8 549.7 ათასი ლარი) 91%;

დ) ჯანდაცვის პროგრამებში წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად გამოიყო 16 171.5 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის (16 377.0 ათასი ლარი) 99%.

3. შშმპ სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამაზე მიიმართა 3 838.2 ათასი ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (4 229.0 ათასი ლარი) 91%.

4. საორგანიზაციო და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსებაზე მიიმართა 10 248.6 ათასი ლარი, ანუ წლიურ დაგეგმილ (10 298.1 ათასი ლარი) ოდენობაზე 49.5 ათასი ლარით ნაკლები (100%).

5. უმუშევრობის სოციალური დაცვის და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამაზე გამოიყო 1 958.8 ათასი ლარი, ანუ წლიურ დაგეგმილ (2 100.0 ათასი ლარი) მაჩვენებელზე 141.2 ათასი ლარით ნაკლები (93%).

6. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საორგანიზაციო და ადმინისტრაციულმა ხარჯებმა შეადგინა 1 660.0 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 660.0 ათასი ლარი) 100%.

საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდი

საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის სულ შემოსავლების გეგმიური მოცულობა 2004 წლის იანვარ-დეკემბერში განისაზღვრა 66 650.0 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში საგზაო ფონდში სულ მობილიზებული შემოსავლების ოდენობამ შეადგინა 75 683.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 114%.

ააქედან, შემოსავლებმა (საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები) შეადგინეს 74 498.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (65 150.0 ათასი ლარი) 114%-ია; გაურკვეველმა შემოსავალმა შეადგინა 77.2 ათასი ლარი; ხოლო 2004 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებულმა საწყისმა ნაშთმა შეადგინა 1 695.8 ათასი ლარი (ეროვნული ბანკის მიერ შეტანილი შესწორების შესაბამისად საგზაო ფონდის საწყისი ნაშთი გაიზარდა 18.3 ათასი ლარით), ახლო საანგარიშო პერიოდში საგზაო ფონდიდან ბიუჯეტში გადარიცხული იქნა 965.2 ათასი ლარი.

ექიმდინარე წლის იანვარ-დეკემბერში ფაქტიურად საგზაო ფონდის მიერ გაწეული ხარჯების მოცულობამ შეადგინა 66 377.1 ათასი ლარი, ანუ წლიურ დაგეგმილ ოდენობაზე (66 650.0 ათასი ლარი) 272.9 ათასი ლარით ნაკლები (100%).

მათ შორის:

1. გზების მოვლა-შენახვაზე (მიმდინარე და პერიოდული შეკეთება და ზამთრის შენახვა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 34 962.6 ათასი ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო პარამეტრის (35 091.3 ათასი ლარი) 100%. ააქედან:

ა) გზების პერიოდულ შეკეთებასა და რეაბილიტაციაზე მიიძღრთა 15 591.2 ათასი ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო პარამეტრის (15 622.3 ათასი ლარი) 100%;

ბ) გზების მიმდინარე შეკეთებაზე გამოიყო 12 026.9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (12 067.0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

გ) გზების შენახვაზე ზამთრის პერიოდში გამოიყო 2 986.9 ათასი ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო პარამეტრის (2 996.0 ათასი ლარი) 100%;

დ) სხვა დანარჩენმა ხარჯებმა შეადგინა 4 357.5 ათასი ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (4 406.0 ათასი ლარი) 99%.

2. მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის კრედიტებით შესრულებული სამუშაოების თანამონაწილეობის ხარჯებმა შეადგინა 3 551.7 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის (3 552.7 ათასი ლარი) 100%. აქედან:

ა) მსოფლიო ბანკის კრედიტმა შეადგინა 2 976.6 ათასი ლარი, რაც წლიური საპროგნოზო პარამეტრის (2 976.7 ათასი ლარი) 100%-ია;

ბ) კუვეიტის ფონდის კრედიტმა შეადგინა 575.1 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო პარამეტრის (576.0 ათასი ლარი) 100%.

3. უცხოური კრედიტების ძირითადი თანხებისა და მომსახურების პროცენტების სახით გაწეული იქნა ხარჯი 8 337.8 ათასი ლარის ოდენობით, ანუ წლიური დაგეგმილი ოდენობის (8 465.3 ათასი ლარი) 98%. აქედან:

ა) მსოფლიო ბანკის კრედიტის ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტების სახით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 4 325.0 ათასი ლარი, ანუ წლიური დაგეგმილი ოდენობის (4 452.5 ათასი ლარი) 97%;

ბ) მსოფლიო ბანკის კრედიტის ათვისებულ ნაწილზე მომსახურების პროცენტის სახით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 585.5 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის (585.5 ათასი ლარი) 100%;

გ) კუვეიტის ფონდის კრედიტის ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტების სახით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3427.3 ათასი ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო პარამეტრის (3427.3 ათასი ლარი) 100%.

4. წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნახლაურებელი ნაწილის დაფარვისათვის მიიძღრთა 5 560.9 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის (5 561.0 ათასი ლარი) 100%;

5. საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქვეუწყებო დაწესებულებების აპარატის შენახვის ხარჯებმა შეადგინა 558.3 ათასი ლარი, ანუ წლიური დაგეგმილი ოდენობის (558.3 ათასი ლარი) 100%;

6. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ხარჯებმა შეადგინა 409.4 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის (409.4 ათასი ლარი) 100%;

7. სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელ სამუშაოებზე მიიძღრთა 12 849.9 ათასი ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (12 862.0 ათასი ლარი) 100%-ია;

8. კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 146.6 ათასი ლარი, ანუ წლიურ დაგეგმილ ოდენობაზე (150.0 ათასი ლარი) 3.4 ათასი ლარით ნაკლები (98%).

2004 წლის იანვარ-დეკემბრის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების შესრულების წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული მონაცემების საფუძველზე.